



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბადრიძე გიორგი (გია) დავითის ძე

ბადრიძე გიორგი (გია) დავითის ძე (23. VI. 1928, თბილისი, – 19. VIII. 1999, იქვე), სცენარისტი, მსახიობი. საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1983).

დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1951) და მოსკ. პედ. ინ-ტის ასპირანტურა (1954). მუშაობდა საქართველო. ტელერადიომუნიციპალიტეტის სახელმწიფო კომიტეტში რედაქტორად (1954–55), იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის წევრი (1971–91).

მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ფილმები: „არლანი“ (რეჟ. გ. კალატოზიშვილი, 1967), „ჩემი არდადეგები“ (რეჟ. ი. ასათიანი, 1973), „ჩარი-რამა“ (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1974), „კავკასიის ტყვე“ (რეჟ. გ. კალატოზიშვილი, 1975), „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის“ (რეჟ. ბ. ნულაძე, 1981), „გმადლობთ, რატილი!“ (ვ. პოჟართან და ო. ბელენკასთან ერთად, რეჟ. გ. კალატოზიშვილი, 1983), „ვინ არის მეოთხე?“ (რეჟ. ო. კობერიძე, 1985), „აშულ-ყარიბი“ (ს. ფარაჯანოვი, დ. აბაშიძე, 1988), „ისინი“ (რეჟ. ლ. ბაქარეიშვილი, 1992), „დინობავრის კვერცი“ (რეჟ. ქ. დოლიძე, 1993); დოკუმენტური ფილმები: „ხაბაზები“ (რეჟ. ბ. რაჭველიშვილი, 1970), „26 საუკუნის განმავლობაში“ (რეჟ. ო. გვასალია, 1989).

როგორც მსახიობი მონაწილეობდა ფილმებში: „არ იდარდო!“ (რეჟ. გ. დანელია, 1969), „გათენების წინ“ (რეჟ. ყ. მგელაძე, 1971), „ციმბირელი პაპა“ (რეჟ. გ. კალატოზიშვილი, 1973), „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“ (რეჟ. ყ. მგელაძე, 1975), „გასეირნება თბილისში“ (რეჟ. ნ. მჭედლიძე, 1976) „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (რეჟ. ლ. ლოლობერიძე, 1978) „პეტროვკა 38“ (რეჟ. ბ. გრიგორიევი, 1980, რუსეთი), „როგორ

ვიცხოვრო უშენოდ“ (რეჟ. ყ. მგელაძე, 1980), „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის“ (რეჟ. ბ. წულაძე, 1981), „დიმიტრი II“ (რეჟ. რ. ხოტივარი, 1982), „გმადლობთ, რატილი!“ (რეჟ. გ. კალატოზიშვილი, 1983), „ორშაბათი, ჩვეულებრივი დღე“ (რეჟ. ვ. კვაჭაძე, 1984), „ბრავო, ალბერ ლოლიშ!“ (რეჟ. მ. თავაძე, 1987) და სხვ.

მ. კერესელიძე
